



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 75

2022 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) გენერალური დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის N56 ბრძანებით დამტკიცებული „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N437091, 02.05.2022) საფუძველზე,

ებრძანებ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართ N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა.ა) თენგიზ კოპალიანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ა.ბ) პეტრე ბაბილუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

ა.გ) შალვა ზვიადაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი - კომისიის წევრი;

ა.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

ბ) ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ბ.ა) მაია გაიოზიშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ.ბ) გიორგი ბურჯანაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი - კომისიის წევრი;

ბ.გ) ხათუნა ფარქოსაძე - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი - კომისიის წევრი

ბ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

გ) ქიმიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

გ.ა) გია ხატისაშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

გ.ბ) თამაზ ქარქუზაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;

გ.გ) ნათია ოჩხიკიძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი - კომისიის წევრი;

გ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

დ) ინფორმატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

დ.ა) კობა გელაშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

დ.ბ) კახაბერ თავზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;

დ.გ) სულხან სულხანიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

დ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

ე) ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ე.ა) ანდრია როგავა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ე.ბ) თეიმურაზ კალატოზი - სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მასწავლებელი;

ე.გ) ალექსანდრე თევზაძე - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;

ე.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

3. 2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატის მიერ მიღებული შეფასების ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევის შესაბამის საგნობრივ საპრეტენზიო კომისიაში გასაჩივრება, აღნიშნული კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) გენერალური დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის N56 ბრძანებით დამტკიცებული „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“-ს მე-12 მუხლის შესაბამისად.

4. კომისიების სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის ერთ-ერთი წევრი.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრის შედეგად, ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

7. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



_____ საგნობრივ საპრეტენზიო კომისიას
(საგანი) _____ 2022 წლის საერთაშორისო სასწავლო (საგანი)
ოლიმპიადის
_____ შესარჩევი ტურის მონაწილის
(შესარჩევი ტურის ნომერი)
სახელი, გვარი _____
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის
სახელი, გვარი _____
საკონტაქტო მისამართი და ტელეფონი

სააპელაციო განაცხადი

თბილისი, _____ 2022 წელი

_____ (შესარჩევი ტურის ნომერი, რომლის შედეგი ან პროცედურა საჩივრდება)

1. გთხოვთ, განიხილოთ

ა) შესარჩევი ტურის პროცედურის დარღვევა;

ბ) შემდეგი ამოცანის _____ შეფასების სისწორე;
(ამოცანის ნომერი)

შენიშვნა: შემოხაზეთ ის კატეგორია („ა“ ან „ბ“ ან ორივე ერთად), რომელსაც შეესაბამება სააპელაციო განაცხადის შინაარსი.

2. გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ გრაფებში შინაარსობრივად და დეტალურად მიუთითოთ დარღვევის შინაარსი:

განმცხადებლის ხელმოწერა: